

# საქართველოში პირველადი ჯანდაცვის როლი, არსებული მდგომარეობა და სამომავლო ხედვა

სალომე ოკუჯავა

ნინიკო ჩოგოვაძე

ტატიანა პაიჭაძე

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## აბსტრაქტი

**შესავალი:** პირველადი ჯანდაცვის სისტემა სამედიცინო მომსახურების ერთ-ერთი მნიშველოვანი რგოლია, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობას და მის გაუმჯობესებას, იგი მოიცავს მოსახლეობის განათლებაზე ზრუნვას და პრევენციული ღონისძიებების გატარებას, წარმოადგენს უფრო იაფ მომსახურების სფეროს, ვიდრე ჯანმრთელობის სხვა დონეები. საქართველოში არსებული სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ პირველადი ჯანდაცვა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე არაპოპულარულ სფეროს, რაც თავის მხრივ ზრდის ჰოსპიტალურ მიმართულებას და ამცირებს ხარჯთეფექტურობას. ნაკლებად არის შესწავლილი მიზეზები, თუ რატომ ირჩევს საქართველოს მოსახლეობა ჯანდაცვის მეორე და მესამე დონეებს და რატომ არ მიმართავს პირველადი ჯანდაცვის პუნქტებს. კვლევის მიზანია საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა პირველადი ჯანდაცვის სისტემისა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტთან მიმართებაში, ასევე ოჯახის ექიმების შეხედულებების განსაზღვრა პირველადი ჯანდაცვის სისტემაზე.

**მეთოდოლოგია:** რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოკითხული იქნა 174 რესპოდენტი ქვეყნის მასშტაბით. თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 4 ოჯახის ექიმი.

**შედეგები:** კვლევამ აჩვენა, რომ პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა იკვეთება: ინფორმაციის დეფიციტი ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის არაპოპულარობის ერთერთი მათავარი მიზეზს წარმოადგენს, უკვე არსებული საყოველთაო ჯანდაცვისა და სახელმწიფო პროგრამების მიუხედავად კვლავ არსებობს ფინანსური ბარიერები ამ სფეროში, მოსახლეობა ოჯახის ექიმის ინსტიტუტს საშუალო შეფასებას აძლევს, ძირითადად უკმაყოფილებას ექიმთა კვალიფიკაციაზე გამოთქვამენ. ოჯახის ექიმები თავის მხრივ კი უჩივიან დაბალ ანაზღაურებას და პროფესიული განვითარებისთვის ნაკლებ ხელშეწყობას.

**რეკომენდაციები:** უნდა მოხდეს მოსახლეობის განათლების და ნდობის გაზრდა სხვადასხვა სოციალური აქტივობების, სატელევიზიო რეკლამების თუ პოსტერების

საშუალებით. საჭიროა პირველადი ჯანდაცვის პუნქტების დამატება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. აუცილებელია ოჯახის ექიმთა შრომითი ანაზღაურების გაზრდა და უწყვეტი სამედიცინო განათლებაზე ზრუნვა. ადამიანური რესურსების მობილიზება და სამედიცინოს სტუდენტების დაინტერესება, გახდნენ პირველადი ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლები.

**ძირითადი საკვანძო სიტყვები:** პირველადი ჯანდაცვა, ოჯახის ექიმი

## Abstract

**Introduction:** The primary health care is one of the most important part of medical service, which supports the health of population and education. It also includes preventive events for society and it is cheaper service than any other health care services. Statistical data in Georgia shows, primary health care is one of the most unpopular part, that increases hospital appeal and reduces cost efficiency. It is less-known why the Georgian population chooses the second and third levels of health care or why don't they visit primary health offices. The aim of research is to study the attitude of the Georgian population about primary health care system and the family doctor's institute. Also, to determine family doctors' view about the primary health care system.

**Methodology:** 174 respondents were interviewed in quantitative research and 4 family doctors in qualitative research all over the country.

**Results:** Research showed that there are still many problems in the primary health care system, such is information deficit in the country, which is the main reason of unpopularity of primary care. Despite of existence of health care programs, there are financial barriers in this area. The population gives an average rate to the family doctor's institute. Main disadvantage is qualification of doctors, as the doctors complain about the low salary and less support in professional development.

**Recommendations:** It is necessary to increase public education and confidence by different social activities, TV advertisements or posters. There is a need to add primary health care areas to ensure geographical availability. The important thing is to increase labor pay for family doctors and to take care of continuous medical education. Also, the mobilization of human resources and to make medical students interested to become the part of the primary health care system.

**Keywords:** Primary health care, Family doctor.